როგორც მოგეხსენებათ, ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა დამოკიდებულია კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის - აქტივების, სისტემების და ასევე, სერვისების უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, კრიტიკულ სერვისებთან დაკავშირებულმა მხარეებმა (ოპერატორი/მესაკუთრე და სახელმწიფო) ერთობლივად უნდა მოახდინონ რისკების დროული იდენტიფიცირება, შესაბამისი აქტივებისა და სერვისების მდგრადობის შენარჩუნება/ამაღლება და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროცესების უწყვეტად წარმართვა;

საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესაძლებლობა ნარჩუნდება. ამ შემთხვევაში, უმნიშვნელოვანესია მოსახლეობისათვის <u>კრიტიკულად მნიშვნელოვანი სერვისების</u> (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო) მიწოდება; ***<u>იხ. დანართი</u>***

ვირუსის მოსალოდნელი გავრცელების პირობებში, <u>კრიტიკულად მნიშვნელოვანი სერვისების</u> შეუფერხებლად მიწოდებისათვის, საჭიროა დადგინდეს:

- იმ ობიექტების (მაქსიმალურად დეტალური) ნუსხა, რომლის შეუფერხებელი ფუნქციონირება, სახელმწიფოში შექმნილი კრიზისული ვითარებისას (მათ შორის საგანგებო მდგომარეობის პერიოდში) კრიტიკულად მნიშვნელოვანი სერვისების მიწოდებას უზრუნველყოფს;
- მინიმალური ადამიანების/პერსონალის რაოდენობა, რაც აუცილებელია კონკრეტული სერვისის უწყვეტი მიწოდებისთვის;
- სერვისების მიწოდებაში ჩართული/დასაქმებული პირების (ცალკეულ მიმართულებებზე) ყოველდღიური ოპერირების სქემა (Modus Operandi);
- ზემოხსენებული პერსონალისთვის აუცილებელი სპეცეკიპირება / სპეცსაშუალებები (შესაძლოა სპეცტექნიკა) (საჭიროების შემთხვევაში).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პირველ ეტაპზე, გთხოვთ, მ/წ **19 მარტის 20:00 საათამდე:**

- სექტორული კომპეტენციის ფარგლებში მოგვაწოდოთ თქვენი, როგორც უწყების (მათ შორის დაქვემდებარებული სამსახურების) უწყვეტი ფუნქციონირებისთვის საჭირო პერსონალის/თანამშრომლების მინიმალური რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- დანართის შესაბამისად, სექტორული კომპეტენციის ფარგლებში, მოგვაწოდოთ შესაბამისი სფეროების მიხედვით, კერძო სექტორის მიერ <u>კრიტიკულად მნიშვნელოვანი სერვისების</u> უწყვეტი მიწოდებისთვის საჭირო პერსონალის/თანამშრომლების რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

აღნიშნულ საკითხზე საკონტაქტო პირი იქნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის უფროსის მოადგილე **ნინო იობაშვილი** ტელ: 577484700.

მაგალითად:

სურსათის სექტორში, მოსახლეობის მინიმალური სასურსათო კალათით უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს შესაბამისი პროდუქტის მწარმოებლების (არსებობის შემთხვევაში), იმპორტიორების, სასაწყობე მეურნეობების (ასეთის საჭიროების შემთხვევაში), დისტრიბუტორებისა და რეალიზატორების (ქსელური გაყიდვები და ბაზრები) სერვისების უწყვეტი ფუნქციონირებისათვის საჭირო მინიმალურ დასაქმებულთა რაოდენობა;

ჯანდაცვის სექტორში მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ძირითადი სააფთიაქო ქსელების უწყვეტი ფუნქციონირებისთვის (წარმოება (არსებობის შემთხვევაში), ლოგისტიკა, რეალიზაცია) საჭირო მინიმალურ დასაქმებულთა რაოდენობა;

„ICT" სექტორში მოქმედი კომპანიების (მაგ: „მაგთიკომი", „სილქნეტი", „ბილაინი", „კავკასუს ონლაინი" და სხვა) საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურის უწყვეტი ფუნქციონირებისთვის საჭირო პერსონალის/თანამშრომლების მინიმალური რაოდენობა.

დანართი: 1 (ერთი) ფურცლად.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი **ვახტანგ გომელაური**

მისამართი: ინგოროყვას ქ. # 7
თბილისი, 0114, საქართველო

Address: Ingorokva St. #7
Tbilisi, 0114, Georgia

დანართი 1

უწყება	სექტორი	სერვისი	სერვისის	სახელმწიფო	კერძო
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჯანდაცვა	მკურნალობა	ჰოსპიტლები	•	•
		დიაგნოსტიკა	პოლიკლინიკები	•	•
		ტრანსპორტირება	სასწრაფო დახმარება	•	•
		მედიკამენტები	საფთიაქო ქსელები		•
		ინდივიდუალური დაცვის საშუალებები			•
		სამედიცინო ნარჩენების მართვა		•	•
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო / ბიზნესომბუდსმენი	სურსათი	მინიმალური სასურსათო კალათა	მწარმოებელი		
			იმპორტიორი		
			სასაწყობე		
			დისტრიბუცია		
			რეალიზაცია		
			საცალო ქსელები		
			ბაზრები		
ბიზნესომბუდსმენი / რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	წყალი	წყლის მიწოდება	წყალმომარაგების კომპანიები		
ბიზნესომბუდსმენი	ელექტროენერგია	გენერაცია			
		გადაცემა			
		დისტრიბუცია			
ბიზნესომბუდსმენი	გაზი	იმპორტი			
		დისტრიბუცია			
ქ. თბილისი მერია / საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	დასუფთავება	მუნიციპალური სამსახურები			
ბიზნესომბუდსმენი	ნავთობპროდუქტების მიწოდება	იმპორტი			
		დისტრიბუცია			
ბიზნესომბუდსმენი / კომიუნიკაციების მარეგულირებელი კომისია	ICT სერვისები	ინტერნეტი			
		ფიჭური და ფიქსირებული კავშირი			
		ტელევიზია			
		რადიო			
ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტრო / ქ. თბილისის მერია / ბიზნესომბუდსმენი	ტრანსპორტი	რკინიგზა	სამგზავრო		
			სატვირთო		
		აეროპორტები			
		პორტები			
		მეტრო			
		ადგილზე მიწოდების სერვისი (მაგ. Glovo და Wolt და მსგავსი)			
		საზოგადოებრივი ტრანსპორტი	საქალაქთაშორისო - მცხეთა და რუსთავი		
			რეგიონები - მიკროავტობუსები		
ეროვნული ბანკი	ფინანსური სექტორი	ბანკების ინკასაცია და სალარო			
		ეროვნული ბანკი			

შინაგან საქმეთა სამინისტრო		საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	
		112	
		საგანგებო სიტუაციების სამსახური	
		დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	
		განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი	
		ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტი	
		სასაზღვრო პოლიცია	
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო		სასჯელაღსრულება, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		დასავლეთ და აღმოსავლეთ სარდლობა	
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო		შემოსავლების სამსახური, საბაჟო დეპარტამენტი	
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო			
საქართველოს პარლამენტი			
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო			
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო			
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო			
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო			
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი			
სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური			
საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური			
საქართველოს დაზვერვის სამსახური			
სასამართლოები			
პრეზიდენტის აპარატი			
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა			
ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია			
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა			